

## ზოლის კოტლარი და მარპიტინგის კონცეფციის თანამდებობები გავხვა

მსოფლიო ეკონომიკის ძირეული ტრანსფორმაცია, აქტუალისა და მომსახურების ბაზრის გლობალიზაცია, ამ ბაზარზე კონკურენციის გამწვვავება, მსოფლიო მოსახლეობის შემოსავლების დონის არსებითობა და სახალხო მომსახურების მომხმარებელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი კონკრეტული ზრდა, ბუნებრივია, წარმოშობენ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ხასიათის მრავალობლებას.

თუ ოდესლაც აშშ-ში გამომცემლობები წიგნების  
უკერქვს ნაწილს თვით ამერიკული მოწყობილობებით  
აუდავდნენ, დღეს გამოცემის ავტორი წიგნის ტექსტს  
უკებს ტაივანში აწყობილ კომპიუტერზე, კალიფორ-  
ნიაში დამუშავებული პროგრამული უზრუნველყო-  
ფს გამოიყნებით, ეს წიგნი იძექდება კორეის სა-  
კუთხებით კანადურ ქალალზე. პოლიგრაფიული მან-  
ქუნა დამზადებულია გერმანიაში, ყდაში ჩასმა ხორცი-  
ლება მექსიკაში და იქედან მზა პროდუქტია უკან-  
აოს უნდება აშშ-ში და სხვა ინგლისურენოვან ქვეყ-  
ნებში.

ტელეკომუნიკიციის სფეროში ტექნოლოგიურმა რევოლუციამ სტიმული მისცა გაერთიანებინათ მთელი მაღლები მსოფლიოს ისეთ წამყანა კომპანიებს, როგორცაა: AT&T, Motsushita, Electrik Industrial, Philips და Sony, რათა „შეემუშავებინათ ერთობლივი პროექტი „General Magic“-ის სახელწოდებით, რომელიც ითვალისწინებდა ინფორმაციული კომპიუტერული ტექნოლოგიების მომავალი თაობის ორ უახლეს სტანდარტს.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ბაზრის გლობალიზა-  
ციასთან ერთად წარმოიწვენენ ისეთი ცალკეული რე-  
გიონული სავაჭრო ბლოკები, როგორიცაა მაგალი-  
თაღ, უკვე საკმარის ცნობილი ჩრდილო ამერიკული  
(აშშ, კანადა, მექსიკა) სავაჭრო შეთანხმება (NAFTA),  
ანდა კიდევ, ევროპული გაერთიანება (EC), რომელიც  
მიიცას 15 სახელმწიფოს და თავისი პოეტიკური  
ძალით დიდად აღემატება აშშ-ის ბაზრის მოცუ-  
ლობას.

თანამდეროვე ბაზარი დაუჭერებლად სწრაფად ცვა-  
ლებადია არა მარტო ძირითადი ტენდენციების –  
გლობალიზაციისა და ახალი ტექნოლოგიების გავ-  
ლენით, არამედ – როგორც ამას მიუთიერებენ მარკე-  
ტოლოგები – შეინიშნება კიდევ ისეთი ახალი ტენ-  
დენციები, როგორიცაა: ბაზარზე მოპოვებული ხელი-  
სუფლების (ლიდერობის) აშკარად გადასვლა მწარ-  
მოებლებიდან გიგანტურ საცალო მოვაჭრეებზე; სა-  
ცალო ვაჭრობის ახალი ფორმები და მეთოდები; მომხმარებელთა მგრძნობიარობის ზრდა საქონლის  
ფასებისა და ფასეულობების მიმართ; მასიური მარ-  
კტინგის როლის ცვლილებების და ა. შ.

Տա, հռմ յամինուս եղլմժըզանցըլունամ, ՑԵ-  
ՆԵՔՐԵԺԾՄ ցածրահինոնք տացանտու յամինուցը ծո-  
վա Մյոնահինոնք մոխնօմինը ծածահիջ ար-  
և կացանու կացանու տապահ ուսոնու լրմագ առ  
և ապահ մարդուն մարդուն ու տղորդուսա և առ  
և առաջարկու առ ցածրահինոնք տացանտու յամինուցը ծո-  
վա Մյոնահինոնք մոխնօմինը ծածահիջ ար-

მსოფლიოს მშეოთვარე სამურნეო კომპლექსიდან, ბიზნესის სამყაროდან სისტემა-ტურად ქრებიან რომელიმაც კომპანიები და მათ ადგილას მოდიან ათეულობით ახალი მეწარმეები. აკი, „ბიზნესის კანონი“ დიდი მეცნიერის ჩარლზ დარვინის მიერ აღმოჩენილი ბუნების კანონის ანალოგიურია – „გადარჩებიან ძლიერები“ – დიახ, ბიზნესში ძლიერია ის, ვინც არსებითად ეუფლება მარკეტინგს, რადგან, მარკეტინგი ეს არის ბიზნესი მთლიანობაში.

შარკეტინგის, როგორც მეცნიერების ფორმირებაში ფასდაუდებელია აშშ-ის ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტის მენეჯმენტის უმაღლესი სკოლის, საერთაშორისო შარკეტინგის საპატიო პროფესორის ფილიპ კოტლერის წვლილი.

ფ. კოტლერის მაღალ მეცნიერულ ღირსებებზე  
მიუთითებს თუნდაც ის, რომ მისი ერთ-ერთი ნაშრომი – „Strategic Marketing for Nonprofit Organizations“ – ხუჭერ გამოიცა აშშ-ში, როგორც მეცნიერების ამ დარგის საუკეთესო ბესტსელერი. მარკეტინგის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს ეძღვნება აგრძოვე მისი ნაშრომები: „The New Competition“, „Marketing Professional Services“, „Marketing for Health Care Organizations“, „Strategic Marketing for Educational Institutions“, „High Visibility“, „Social Marketing“, „Marketing Places“, „Marketing for Congregations“, „Marketing for Hospitality and Tourism“, „Standing Room Only: Strategies for marketing the Performing Arts“, „Marketing Models“ და სხვა.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ფ. კოტლერის ბოლოდროინდელი ნაშრომი, №-9 საერთაშორისო გამოცემა – „Marketing Management“, რომელსაც, მეცნიერების ამ დარგში ბადალი არ მოეპოვება მსოფლიოში.

მარკეტინგი – შენიშვნავს ფ. კოტლერი – ეს არის  
მოწესრიგებული და მიზანმიმართული პროცესი კომ-  
პანის მიერ მომხმარებელთა პრობლემებისა და საბაზრო  
საქმიანობის ჩეგულირების შემცნების მიმართებით.  
მარკეტინგი სრულებითაც არ არის ეკვლიდისეული  
გეომეტრია, სადაც ყველაფერი ზუსტად სისტემატი-  
ზირებულია ოცნებებისა და აქსიომების საფუძველზე.  
პირიქით, მარკეტინგი ეკონომი-  
კური საქმიანობის ერთ-ერთი ყვე-

ლაზე დინამიური სფეროა, სადაც მუდმივად წარმოჩინდებიან ისეთი სიურპრიზები, რომლებზე-დაც კომპანიამ აღეკვატური რეაგირება აუცილებლად უნდა მოახდინოს.

„მარკეტინგი – აღნიშნავს ფ. კოტლერი, – არის სოციალური და მმართველობითი პროცესი, რომელიც მიმართულია, როგორც ინდივიდების, ასევე ჯგუფების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ, საქონლის ფასეულობის შექმნის, შეთავაზებისა გაცვლის გზით“. მარკეტინგის ასეთი განსაზღვრა გულისხმობს კონცეფციის განსხვავებულ მოქმედებას: (იხ.ნახ. 1):

საჭიროება – ეს არის ადამიანის შეგრძნება რა-ლაცის არქონების გამო. ამიტომ საწყისი იდეა, რო-მელიც საფუძვლად უდევს მარკეტინგს, ეს არის ადა-მიანური საჭიროების იდეა. ეს შეიძლება იყოს ფი-ზოლოგიური, სოციალური, სულიერი.

მოთხოვნილება არის საჭიროება, რომელიც ლებულობს სპეციფიურ ფორმას ინდივიდის პიროვნული და კულტურული ღონისძიებაშისამისად. მოთხოვნილება გამოხატულებას ლებულობს პროდუქტში (მომსახურებაში), რომელსაც შეუქმია დაკმაყოფილოს ადამიანის საჭიროება, იმ წესით, რომელიც დამახასი-ათებებლია მოცემული საზოგადოების კულტურული წყობისათვის. მაგალითად, თუ რაჭველი გლეხეაცი-სათვის საღილზე მოხვევნილებაა – ლობიო, ლორი და წითელი ღვინო, ხევსურისათვის ტრადიციულია და სიამოგნებით მიირთმევს ხინქალს ერბოთი და ერთ-ორ კათხა თვითიანხად ლუდს. მოთხოვნილება ფორმირდება და ხორციელდება საზოგადოებრივი ძალების, სოციალური ინტერესების (ეკლესია, სკო-ლა, ოჯახი) და მწარმოებელი კორპორაციების ზე-მოქმედებით.


მოთხოვნა – ეს მოთხოვნილებაა, რომელიც გან-მტკიცებულია მომხმარებლის გადახდისუნარიანობით და იგი იცვლება მოსახლეობის ფულადი შემოსავ-ლების დონისა და ფასების მიხედვით. მომხმარებელი ბაზარზე შედის არა მოთხოვნილებით, არამედ მოთხოვ-ნით. მწარმოებელი კომპანიები უნდა ითვალისწი-ნებდნენ არა იმას, თუ რამდენს სურს შეიძინოს მათ მიერ წარმოებული საქონელი, არამედ იმას, თუ რამ-დენს აქვს უნარი რეალურად შეიძინოს პროდუქტი (მომსახურება).

საქონელი, (პროდუქტი, მომსახურება, იდეა) – არის ყველაფერი, რაც შეიძლება შეთავაზო ადამიანური საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დასაქმიყო-ლებლად. იგი შეიძლება იყოს როგორც მატერია-ლური პროდუქტი, მომსახურება ან იდეა.

მომხმარებელი ყიდულობს საქონელს (პროდუქტს) არა იმიტომ, რომ ის უბრალოდ პროდუქტია, არა-მედ იმიტომ, რომ მას შეუქმია დაკმაყოფილოს ადამიანის რაოდენობით. რამდენად მწარ-მოებელები – ბაზრის სუბიექტური პირველ რიგში უნდა ცდილობდნენ გაყიდონ არა პროდუქტი, არა-მედ პროდუქტის ის სარგებლიანობა, მომსახურება, რომელიც მოცემულ მატერია-

ნახ. 1

### შარკეტინგის კონცეფციის ძირითადი ელემენტები



ლურ პროდუქტშია მოთავსებული. მწარმოებელმა აქცენტი არ უნდა გააკეთოს პროდუქტის ფიზიკურ თვისებებზე.

ფასეულობა, ხარჯები და მომხმარებელთა დაკმა-ყოფილება – ადამიანის საჭიროება გადაადგილებაზე შეიძლება დაკმაყოფილდეს სატრანსპორტო ისეთი საშუალებებით, როგორიცაა: ველოსიპედი, მოტოციკ-ლი, ავტომობილი და ა. შ., ანუ იქმნება საქონლის ვარიანტთა ერთგვარი ნაკრები, აირჩევს. ცხადია, მომხმარებელი ამ შემთხვევაში აირჩევს ისეთს, რო-მელიც უფრო სრულყოფილად დააკმაყოფილებს მის საჭიროებას, აქ კი მთავარ როლს თამაშობს საქო-ლის ფასეულობა ანუ სამომხმარებლო მნიშვნელობა. ფასეულობაში იგულისხმება მომხმარებლის მიერ სა-ქონლის უნარის შეფასება, ანუ თუ რამდენად შეუძლია დააკმაყოფილოს საჭიროება. ჩვენს მაგალითში, თუ ზემოთ ჩამოთვლილი სატრანსპორტო საშუალებები უფასოდ გაიცემოდა, ცხადია, მომხმარებელი ავტო-

მობილს მისცემდა უპირატესობას, მაგრამ ნებისმიერი ამ საქონლის შეძენა შეიძლება მხოლოდ გარკვეული ხარჯების გაღებით და ამიტომ მყიდველი შეეცვალა შეარჩიოს ისეთი სატრანსპორტო საშუალება, რომელიც მაქსიმალურად დააკმაყოფილებს მის საჭირებას, მის ხელთ არსებული რეალური დოლარების ფარგლებში (რამდენის გადახდაც მას შეუძლია).

გაცვლა და ტრანსაქცია. ადამიანს შეუძლია მისაფილ პროდუქტი (საქონელი) მიიღოს ოთხი ცონიბილი ხერხიდან ერთ-ერთის გამოყენებით: პირველი ხერხი – ეს არის დამოუკიდებელი წარმოება რე თვითუზრუნველყოფა. ე. ი. ადამიანი აწარმოებს მას, რაც მას სჭირდება. მეორე ხერხი – ეს არის მაღადობა, ე. ი. იგივე შეიერი ადამიანი საკვებს ძალით წაართმევს სხვას, იქცევებს ან იყჩალებს. მესამე ხერხი – ეს არის მათხოვრობა. მეოთხე ხერხი – გაცვლა, როცა ადამიანი მისთვის აუცილებლად საჭირო საკვებში მეორე მხარეს სანაცვლოდ შეთავაზულს ან სხვა საქონელს (მომსახურებას).

შემოთხამოთვლილი ოთხი შემთხვევიდან პირველი სამი არ გულისხმობს მარკეტინგს, იმ უბრალო მიზანის გამო, რომ მარკეტინგი გამოვლინდება მოლოდი იმ მომენტიდან, როცა ადამიანი გადაწყვეტის დაიკმაყოფილოს და მოთხოვნილება გაცვლის საშუალებით. შედეგია თუ არა გაცვლა, ეს კი დამოიდებულია იმაზე, რამდენადა არიან მხარები თანახმა გარიგების პირობებში. გაცვლის პირობები კი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

1) მხარეები, როგორც მინიმუმი უნდა იყოს ორი, ცერძო პირი ან ორგანიზაცია;

2) თითოეული მხარე უნდა ფლობდეს რაიმე ისეთს, რომელიც მეორე მხარისთვის წარმოადგენს გარკვეულ ფასეულობას;

3) თითოეულ მხარეს უნდა შეეძლოს კომუნიკაციების განხორციელება და ნაყიდი საქონლის (პროდუქტის) დანაშაულების ადგილზე მიტანა;

4) თითოეული მხარე უნდა იყოს სრული თავსუალი, მეორე მხარის მიერ შეთავაზებული წინადაღების მიღების ან უაყოფის თვალსაზრისით;

5) თითოეული მხარე დარწმუნებული უნდა იყოს მეორე მხარესთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების

სარგებლიანობასა და მიზანშეწონილობაში.

თუ ორეული მხარე შეთანხმდა, მაშინ ვამბობთ, რომ გარიგება შედგა. ფასეულობათა ასეთი გაცვლა ორი ან მეტი მხარის მიერ იწოდება ტრანსაქციად. ტრანსაქცია როგორც წესი საქონლის ფასეულობათა სამ განზომილებაში განიხილება – პირობები, დრო და შეთანხმების ადგილი.


პარტნიორთა შორის ურთიერთობა და ურთიერთობულების სისტემა, ზემოთ ჩვენ განვხილეთ ტრანსაქციული მარკეტინგის ბუნება. ტრანსაქციული მარკეტინგი თავის მხრივ წარმოადგენს უფრო ფართო კონცენტრირების ნაწილს – რომელმაც მიიღო სახელწოდება – ურთიერთობათა მარკეტინგი. ურთიერთობათა მარკეტინგი ეს არის ბაზარზე ძირითად პარტნიორებთან გრძელვადიანი ურთიერთობმგებიანი ურთიერთობის მოწყობის პრაქტიკა: მომხმარებელთან, მომწოდებელთან და დისტრიბუტორებთან ხანგრძლივი პრივილეგირებული ურთიერთობების დამყარების მიწზნით. საბოლოო შედეგი, რომლისენაც მიისწრავვის ურთიერთობათა მარკეტინგი – ეს არის კომპანიის უნიკალური აქტივის ფორმირება, რომელიც იწოდება, როგორც ურთიერთობმჯდების მარკეტინგული სისტემა.

გაცვლის თეორიას გაცვლის კონცეფციამდე მივყვართ. ბაზარი – ეს არის საქონლის (პროდუქტის, მომსახურების, იღესი) არსებული და პოტენციური მყიდველებისა და გამყიდველების ერთობლიობა, ანუ ბაზარი წარმოადგენს საქონლის პოტენციური გაცვლის სფეროს. ბაზარი ვარაუდობს მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის მიზანსწრაფულ გაცვლას. ფილრპ კოტლერის მიხედვით „ბაზარს ქმნიან ყველა პოტენციური მომხმარებლები განსაზღვრული საჭიროებებითა და მოთხოვნილებებით, რომლის დაკავშირებისათვის მათ სურთ და მზად არიან მიიღონ მონაწილეობა გაცვლაში“.

მარკეტინგული გამყიდველთა ჯგუფი განიხილება, როგორც დარგის წარმომადგენლები, ხოლო მყიდველთა ჯგუფი – როგორც ბაზარი.

ქვემოთ მოცემულ ნახაზზე ნათლადაა მოცემული გამყიდველთა და მყიდველთა ურთიერთობის ოთხი ნაკადები: (იხ. ნახ. 2).

## ნახ. 2. მარტივი მარკეტინგული სისტემა



თანამედროვე ეკონომიკა მრავალი ბაზარისგან შედგება. აქედან ძირითადია: 1) მწარმოებელთა ბაზარი, 2) რესურსების ბაზარი, 3) სახელმწიფო ბაზარი, 4) მომხმარებელთა ბაზარი და 5) შუამავალი ბაზარი.

ბაზრის კონცეფცია ამთავრებს მარკეტინგის კონცეფციას, როცა ბაზარზე მხარეთა შორის ერთი აგებს გაცვლის შესაძლო ვარიანტს უფრო აქტიურად, ვიღრე სხვა, ამ შემთხვევაში გაცვლის შესაძლო ვარიანტს უფრო აქტიურად, ვიღრე სხვა, ამ შემთხვევაში პირველი იწოდება როგორც მეწარმედ, ანუ ბაზრის აქტიურ სუბიექტად, ხოლო მეორე – სავარაუდო მყიდველად.

ბაზრის აქტიური სუბიექტი – ეს არის სუბიექტი, რომელიც ეძებს ერთ ან რამდენიმე სავარაუდო მყიდველს, რომელთაც შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ფასეულობათა შეცვლაში. სავარაუდო მყიდველი – ეს არის ადამიანი ან ფირმა, რომელსაც მეწარმე განსაზღვრავს, როგორც ფასეულობათა გაცვლის პოტენციურ მონაწილეს. ბაზრის აქტიური სუბიექტი

შეიძლება იყოს როგორც გამყიდველი, ასევე მყიდველი. პრაქტიკულად ბაზარზე ყველა – მყიდველიც და გამყიდველიც დაკავებულია მარკეტინგით, იმდენად, რამდენადაც ორივე მხარე აქტიურადაა დაინტერესებული გაცვლით. ამიტომ თითოეული მათგანი აქტიური სუბიექტია, სიტუაციას კი, რომელშიც ისინი იმყოფებიან, ამ შემთხვევაში უწოდებენ – თანაზიარ მარკეტინგს.

ზემოდ შევეცადეთ რამდენადმე სწორად გაძმოგვეცა ფ. კოტლერის ხედვა მარკეტინგის კონსეფციის თანამედროვე გაგების შესახებ, ხოლო რაც შეეხება მარკეტინგის მიმართულებით დიდი მეცნიერისა და მკვლევარის საერთო შეფასებას, ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ გამონათქვამს, რომ "Котлер стал для маркетинга приблизительно тем же, как был для химии Дмитрий Иванович Менделеев" ("Marketing Management" რუსულებოვანი გამოცემის რედაქტორი ლ. ვოლკოვა), ანდა ფილიპ კოტლერი იმ მიზანით გამოისახავს, რომ "Филипп Котлер повел порядок и поддерживает дисциплину в каждом разделе Маркетинга" (ტიზ ალბერტი).

### ლიტერატურა და წყაროები:

1. კემპებელ რ. მაკკონელი, სტენლი ლ. ბრიუ, „ეკონომიკისი“, ნაწ. I, II, „საქართველო“, თბილისი 1993 წ. (ქართული გამოცემა).
2. სოხაძე ა. „მარკეტინგის საფუძვლები“, „საქართველო“, ქუთაისის ფილიალი, 1997.
3. ხელაშვილი ი. „ტურიზმის მარკეტინგის საფუძვლები“, გამოც. „საბა“, თბილისი 1992.
4. გოლია გ. „მარკეტინგი“, „ლეგია“, თბილისი 1992.
5. ყამარაული ს. „მარკეტინგი“, „მეცნიერება“, თბილისი 2002.
6. აბრამიშვილი გ. გ. „Проблемы Международного Маркетинга“, М. 1984.
7. კოტლერ ფ., „Основы Маркетинга“, „Прогресс“, М. 1992.
8. კოტლერ ფ., „Маркетинг Менеджмент“, „Питер“, Санкт-Петербург 1999.
9. ევანს ტ. ჯ., ბერმან ბ., „Маркетинг“, 1988.